

დაბა აგარის საცხოვრებელი უბნის რეკონსტრუქცია/განახლების პროექტი

ნიკა სიდამონიძე

სამაგისტრო ნაშრომი

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შოთა დემეტრაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნიკა სიღამონიძე

26/06/2020

აბსტრაქტი

დღეს-დღეობით საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ტოვებს სოფელს და საცხოვრებლად ან/და დროებით საცხოვრებლად მიდის ქალაქში რათა, ქალაქი უკეთ უზრუნველყოფს მათი ცხოვრების ხარისხს, ეს გამომდინარეობს სოფელში არარსებული სოციალური ინფრასტრუქტურებიდან, სამუშაო ადგილების სიმცირიდან, განათლების დონის დაბალი ხარისხიდან და სხვა კიდევ ბევრი ფაქტორიდან. ამის გამო იცლება სოფლები და იზრდება ქალაქები, რაც ცალსახად დამლუპველია ქვეყნის განვითარებისთვის, ეს ყველაფერი, რომ არ მოხდეს საჭიროა რეაგირება.

კვლევა მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობისთვის საჭირო კულტურული და ინფრასტრუქტურული პრობლემების ძიებას, მათ მოგვარებასა და სოფლის (ამ შემთხვევაში დაბის) განვითარებას.

ნაშრომში გამოკვლეულია დაბა აგარის განვითარების პოტენციალი, თუ რამდენად შესაძლებელი, საჭირო და აუცილებელია, ყურადღება მიექცეს მსგავს ტერიტორიებს. ასევე, საუბარია ისტორიულ მნიშვნელობაზე, ისტორიის შენარჩუნებაზე ძველის აღდგენაზე და განახლებაზე, გამომდინარე, აქედან კი მოცემულია მისი სამომავლო განვითარების გეგმა. წარმოდგენილი კვლევა, ემყარება დაბა აგარის მოსახლეობის ინტერვიუებსა და გამოკითხვებს.

საკვანძო სიტყვები: ინდუსტრიული შენობები, სოციალური ინფრასტრუქტურა, რენოვაცია, რესტავრაცია.